ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2511431

ნომერი: AR1390706

თარიღი : 28.03.2016

გაცემის თარიღი : 30.03.2016

გაცნობის თარიღი : 30.03.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბაგები , გზატკეცილი წყნეთი , N36ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ზურაბ ბაჩიაშვილი პ/ნ 20001018263
- აგლაძის 26, კორპ 5, ბინა 23

ორგანიზაცია:
- ოიქს დეველოპმენტი კოდი: 402000428

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

2016 წლის 28 მარტის №AR1390706 განაცხადის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 28 მარტის №AR1390706 განაცხადით მომართა ზურაბ ბაჩიაშვილმა და ამავე სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებაში დამკვეთად შ.პ.ს. "ოიქს დეველოპმენტის" დაფიქსირება მოითხოვა, ასევე, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება და შეთანხმებული გეგმების განაცხადზე თანდართული გეგმებით ჩანაცვლება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, ბაგები, წყნეთის გზატკეცილი #36ა–ში, თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ N01.14.08.002.013) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთად დაფიქსირდა შ.პ.ს. "ოიქს დეველოპმენტი“.

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია მოხდეს ცვლილება სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებაში, დამკვეთად დაფიქსირდეს შ.პ.ს. "ოიქს დეველოპმენტი". ასევე განმცხადებელი უთითებს, რომ სამსახურის 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური ხარვეზი, რომელიც გამოიწვია ფართების არასწორმა მითითებამ და დაჯამებამ. აღნიშნულიდან გამომდინარე, განაცხადით მოთხოვნილია ბძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლების გასწორება №AR1390706 განაცხადზე წარმოდგენილი დანართის მიხედვით, ასევე შეთანხმებული გეგმების განაცხადზე თანდართული გეგმებით ჩანაცვლება.

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შ.პ.ს. "ოიქს დეველოპმენტი“, შესაბამისად, განმცხადებლის მოთხოვნა დამკვეთის ცვლილების ნაწილში მოკლებულია საფუძველს.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შედარების შედეგად დადგინდა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა და წარმოდგენილი გეგმები არ შეესაბამება 2016 წლის 22 მარტის №2490600 ბრძანებით შეთანხმებულ კორექტირებულ არქიტექტურულ პროექტს. მიუხედავად იმისა, რომ განმცხადებლის მიერ მოთხოვნილია ფართების არასწორი მითითების გამო ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ აქტში, წარმოდგენილი გეგმების მიხედვით იცვლება შენობა–ნაგებობის პირველი სართულის არა მხოლოდ ფართები, არამედ კონფიგურაციაც, რაც წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის კორექტირების საფუძველს. შესაბამისად განმცხადებლის მოთხოვნა წარმოდგენილი გეგმებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის გეგმების ჩანაცვლებისა და ამ გეგმების შესაბამისად ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ცვლილების თაობაზე ვერ დაკმაყოფილდება.
